მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში

SME DEVELOPMENT AND DCFTA IN GEORGIA

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

Implemented by:
giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

პროექტი მიმდინარეობს ევროკავშირის თანადაფინანსებით
This project is co-financed by the European Union

ევროკავშირის შესახებ

ევროკავშირის წევრმა-სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ერთმანეთთან დაეკავშირებინათ საკუთარი ცოდნა, რესურსები და მომავალი. მათ ერთად ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და ამავდროულად შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტულობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი იღებს ვალდებულებას თავის საზღვრებს მიღმა სხვა სახელმწიფოებსა და ადამიანებს გაუზიაროს საკუთარი მიღწევები და ღირებულებები.

GIZ-ის შესახებ

GIZ-ი (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) არის მდგრადი განვითარებისთვის საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში მომსახურების გლობალური მიმწოდებელი. GIZ-ს აქვს სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის 50 წელზე მეტი ხნის გამოცდილება, მათ შორის ისეთ სფეროებში, როგორიცაა, ეკონომიკური განვითარება და დასაქმება, ენერგეტიკა და გარემო, მშვიდობა და უსაფრთხოება. GIZ-ი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით 1990-იანი წლებიდან მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს სოციალური საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებად ჩამოყალიბებაში.

ABOUT THE EUROPEAN UNION

The Member States of the European Union have decided to link together their know-how, resources and destinies. Together, they have built a zone of stability, democracy and sustainable development whilst maintaining cultural diversity, tolerance and individual freedoms. The European Union is committed to sharing its achievements and its values with countries and peoples beyond its borders.

ABOUT GIZ

The Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH provides services worldwide in the field of international cooperation for sustainable development. GIZ has over 50 years of experience in a wide variety of areas, including economic development and employment, energy and the environment, and peace and security. On behalf of the German Federal Ministry of Economic Cooperation and Development (BMZ), GIZ has been supporting the South Caucasus countries since the 1990s in becoming social market economies.

ევროკავშირი ბიზნესისთვის

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემოს რეფორმების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირი საქართველოს მთავრობას სხვადასხვა საშუალებით ეხმარება. მათ შორის აღსანიშნავია ე.წ. სექტორული რეფორმის კონტრაქტით გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) მოთხოვნებისადმი მცირე და საშუალო მეწარმეების ადაპტაციას უწყობს ხელს.

მსხვილი კომპანიებისგან განსხვავებით, მცირე და საშუალო მეწარმეები ნაკლებად არიან მზად მოერგონ ბიზნეს გარემოს ცვლილებებსა და ახალ სავაჭრო რეჟიმს. ამგვარად, მათი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისთვის საჭიროა სახელმწიფო და კერძო სექტორებში მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ჩარჩოს განვითარება და გაძლიერება.

ევროკავშირის ინიციატივა „ევროკავშირი ბიზნესისთვის“ არის ე.წ. „ქოლგა“ ინიციატივა, რომელიც ფარავს ევროკავშირის ყველა აქტივობას, რაც „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ქვეყნებში მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერისკენ არის მიმართული. საქართველოში ეს ინიციატივა საშუალებას აძლევს კერძო სექტორს ისარგებლოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით (DCFTA) შექმნილი შესაძლებლობებით, რომელიც ქვეყანას გზას უხსნის 500 მილიონიანი ბაზრისკენ.

უფრო ვრცლად: http://eu4business.eu

EU4BUSINESS

To facilitate the realization of institutional and regulatory reforms, as a part of the Association Agreement implementation process, the EU supports the Government of Georgia through a multitude of means, including financial support in the context of the Sector Reform Contract aimed at facilitating SME adaptation to the requirements associated with the AA/DCFTA.

Compared to large companies, SMEs are less prepared to accommodate to the changing environment for doing business and to the new trade regime. As such, to support SME competitiveness, it is important to build upon and enhance the SME support framework in the public and private sectors.

The European Union's EU4Business initiative is an umbrella initiative that covers all EU activities supporting SMEs in the Eastern Partnership countries. In Georgia, it enables the private sector to take advantage of the opportunities offered by the EU Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), which gives the country access to a common market of 500 million consumers.

Read more: http://eu4business.eu

პროექტის შესახებ

პროექტი - „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარეობს და მას GIZ-ი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით ახორციელებს. პროექტი 2015-2019 წლებში ხორციელდება და მისი ბიუჯეტის მოცულობა 5 მილიონი ევროა.

პროექტის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეების შესაძლებლობათა გაძლიერება, რათა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა და მათ შეძლონ ასოცირების შეთანხმებით შექმნილ ახალ მარეგულირებელ გარემოსთან ადაპტირება. პროექტი საფუძველს უყრის სექტორის განმტკიცებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ფართომასშტაბიან ეკონომიკურ ზრდას.

პროექტი ოთხ კომპონენტს მოიცავს:

კომპონენტი 1: მეწარმეობის განვითარების ჩარჩო პირობების გაუმჯობესება და მცირე და საშუალო მეწარმეების მონაწილეობა პოლიტიკურ დიალოგში.

კომპონენტი 2: მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული ინსტიტუტების სიმძლავრეების სიღრმისეული განვითარება.

კომპონენტი 3: მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა ეროვნულ, სექტორულ და ადგილობრივ დონეზე ბიზნეს კლასტერების განვითარებისა და ბიზნეს ქსელების მხარდაჭერის გზით.

კომპონენტი 4: ბიზნეს კლასტერებისა და ქსელების ინტეგრირება ევროკავშირში მოქმედ შესაბამის ქსელებში, რომლებიც ორიენტირებულია მეწარმეობის განვითარებაზე, ინვესტირებასა და ვაჭრობის ხელშეწყობაზე.

ABOUT THE PROJECT

The Project “SME Development and DCFTA in Georgia” is co-financed by the European Union and carried out by GIZ on behalf of the German Federal Ministry of Economic Cooperation and Development (BMZ). It is implemented from 2015 to 2019 and its budget is 5 million EUR.

The purpose of the project is to support the implementation of the DCFTA related institutional and regulatory reforms in the country, with a strong focus on strengthening the capacities of Georgian SMEs, both to increase their competitiveness and to ensure their adaptation to the new regulatory environment. The Project will lay the ground for strengthening the SME sector to ensure a broad based growth.

SME DCFTA GE is implemented across four components:

Component 1: Improvement of the enterprise development framework and SME participation in the political dialogue.

Component 2: Comprehensive capacity development for SME support institutions.

Component 3: Promotion of enterprise development via clustering and support to business networks on national, sector and local levels.

Component 4: Integration of business clusters and networks in relevant existing EU networks for enterprise development, investment and trade promotion.

პროექტის სამარკო ინიციატივა - ბიზნეს კლასტერების განვითარება საქართველოში

ზოგადი მიზნები:

- ადგილობრივი კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდა;
- ინდუსტრიის განვითარება;
- პროფესიული უნარებისა და ცოდნის ამაღლება;
- საერთაშორისო კავშირების გაფართოება;
- საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესება.

შერჩეული ინდუსტრიები:

ავეჯის წარმოება

ქართული ავეჯის კლასტერი ადგილობრივ ავეჯის მწარმოებლებსა და დიზაინერებს საერთაშორისო ბაზრებთან აკავშირებს.

კინოწარმოება

ქართული კინოკლასტერი ფილმის წარმოებისა და პოსტწარმოების წამყვან კომპანიებსა და პროფესიონალებს აერთიანებს და ქართული კინოინდუსტრიის შესახებ საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებას უწყობს ხელს.

ტანსაცმლის წარმოება

ინიციატივის ფარგლებში ადგილობრივი მწარმოებლები ევროპულ სამკერვალო ინდუსტრიაში მოქმედ სტანდარტებს ნერგავენ.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

კლასტერის განვითარების ინიციატივა ამ სფეროში მოქმედ ქართულ კომპანიებს ევროპელ პარტნიორებთან უკეთ დაკავშირებაში ეხმარება.

PROJECT TRADEMARK INITIATIVE - DEVELOPMENT OF BUSINESS CLUSTERS IN GEORGIA

Common objectives:

- Increase competitiveness of local companies;
- Promote industry development;
- Upgrade industry skills and knowledge;
- Increase international linkages;
- Improve access to international markets.

Selected industries:

Furniture

Georgian Furniture Cluster connects local furniture producers and designers with international markets.

Film

Georgian Film Cluster unites leading companies and professionals in the film production and post-production and promotes awareness of Georgian film industry internationally.

Apparel

The initiative allows local producers to establish European industry standards.

Information and Communications Technology (ICT)

Cluster development helps the Georgian ICT community connect better with European partners.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია GIZ-ი და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of GIZ and do not necessarily reflect the views of the European Union.

საკონტაქტო ინფორმაცია:

კერძო სექტორის განვითარების და პროფესიული განათლების პროგრამა სამხრეთ კავკასიაში
GIZ (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება)

რუსთაველის გამზ. 42 / გრიბოედოვის ქ. 31ა,
მე-5 სართული
0108 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2201833
ელ-ფოსტა: giz-georgia@giz.de
ვებგვერდი: www.giz.de

Contact information:

Private Sector Development and TVET South Caucasus
Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

42 Rustaveli Avenue / 31a Griboedov Street, 5th floor
0108 Tbilisi, Georgia
T: +995 32 2201833
E: giz-georgia@giz.de
I: www.giz.de

© 2018 Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH. All rights reserved. Licensed to the European Union under conditions.